№ 149

სამშაბათი, 14 ივლისი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 149

სამშაბათი, 14 ივლისი, 1898 წ.

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

**ბუნება და ცხოვრება**

ილ. ალ ხაზიშვილისა

**ფასი 60 კაპ.**

ვინც ზემოხსენებულ მაღაზიებიდგან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 48 კ. ათის ცალის გაგზავნა ღირს 37 კ. (20—84—12)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ზ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** *Д-ра Навасардіана.*

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(წ)

## მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უბოძა ორდენი წმ. მოციქულთა სწორის თავად ვლადიმირისა მე-4 ხარისხისა, მახვილებითა და ბანტით შემკული, თურქესტანის მე-20 ბატალიონის პოდპორუჩიკს ვლადიმერ კ ა რ ს ე ლ ა ძ ე ს.

გ ა მ წ ე ს ე ბ უ ლ ი ქ მ ნ ა: ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში კურს დამთავრებული მკურნალი ვლადიმერ მ ა ხ ვ ი ლ ა ძ ე და კავკასიის სტიპენდიანტად ნამყოფი მკურნალი თავადი იოსებ თ უ მ ა ნ ო ვ ი—ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს უმცროს შტატ-გარეშე ორდინატორებად.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა განკარგულება მოახდინა, რომ უნდა გაუქმებულ იქმნას გერმანელთა ის სასაფლაო, რომელიც კავკასიის მე-2 მსროლელთა ბატალიონის სადგომის მახლობლად მდებარეობსო. გუბერნატორმა ამ განკარგულებისა გამო მიჰმართა სახელმწიფო მამულების სამმართველოს, რომ თავისუფალი მამული ხომ არ გექმნებათ აქ სასაფლაოს გადასატანადაო, მაგრამ რადგან სამმართველოს შესაფერი თავისუფალი მამული არ აღმოაჩნდა, ამიტომ გუბერნატორმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას, გადასდეთ სასაფლაოს მოსათავსებლად რომელიმე ნაჭერი მიწა მამულისა მახათის მთების მახლობლად, „ნაძალადევს“ ზემოდ და ან ნავთლუღში, სადაც ქალაქის თვითმმართველობამ უნდა გადაიტანოს საერთოდ ქალაქის ყველა სასაფლაოებიო.

*** ქუთაისიდგან დეპეშით შეგვატყობინეს, რომ 12 ივლისს ქალაქის მოურავად არჩეულ იქმნა ბ-ნი ლოლუა.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის ი. ს. მედვედევის განკარგულებით ადგენენ ამ ჟამად საპატანიკო ბაღის ვრცელს გზის მაჩვენებელს.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, რომ მან, სავალდებულო დადგენილების თანახმად, გამართოს ქვა-ფენილი პუშკინის ბაღის გარეშემო. ამის გამო გაზ. „კავკასი“ სამართლიანად სწერს: „კარგ მაგალითს აძლევს სახლის-პატრონებს ქალაქის გამგეობა, რომელიც თითონვე იმ დრომდე არ ასრულებს საბჭოს სავალდებულო დადგენილებას, ვიდრე ძალას არ დაატანენო.“

*** ამ ჟამად ქალაქის თვითმმართველობის მოხელეთაგან 75 კაცმა განაცხადა თურმე სურვილი მამულის შეძენისა ქალაქის მახლობლად მდებარე მემამულეთაგან სახლების ასაშენებლად.

*** უწმიდესის სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის დადგენილების თანახმად შუა-მთის მონასტერი, ალავერდი და თეთრი გიორგი უნდა ჩაჰბარდეს განსაგებლად არქიმანდრიტს კირიონს.

*** ამ ჟამად ტფილისის მცხოვრებ აისორთაგან მუდამ დღე რამდენიმე კაცი უერთდება მართლ-მადიდებელ ეკკლესიას, ასე რომ მართლ-მადიდებლობა მიიღო უკვე 1,070 კაცმა.

*** ტფილისში მოსულ ცნობებით, წარსულ 1897 წლის მთელის რუსეთის ჯარის სროლით ვარჯიშობაში კავკასიის ჯარს პირველი ადგილი დაუჭერია. ყველაზედ საუკეთესოდ სცოდნიათ სროლა კავკასიის მე-4 მსროლელთა ბატალიონის ჯარის-კაცთ, რომელიც წარსულ წლის ანგარიშში მოთავსებულია პირველ ადგილას, მეორედ მოთავსებულია კავკასიის მე-2 ადგილობრივი მსროლელთა დრუჟინა, შემდეგ კავკასიის დანარჩენი მსროლელთა ბატალიონები და მე-14 გრენადერთა რაზმი.

*** ამას წინად თელავის გზაზედ მეეტლე აბულოვი ქოთაოთი გამხდარა ავად და გარდაცვლილა. როგორც გამოუკვლევიათ, ამავე სენით შეპყრობილი ყოფილა რამდენიმე ცხენი თელავსა და სად. ვაზიანში. ამის გამო ტფილისის გუბერნატორს უთხოვნია ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისათვის, დაავალეთ ფოსტის გამგეთ ბეითალის შეუმოწმებლად არ მიიღონ ცხენი და აგრეთვე ის, რომ სამ თვეში ერთხელ მაინც ბეითალი მიიწვიონ და გაასინჯვინონ ცხენებიო.

*** დიდის სიცხეებისა გამო ტფილისში უკანასკნელ კვირას ხუთს კაცს დაჰკრა მზემ თავში და ავად გახდა.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სწერენ ქუთაისის გუბერნიის სოფ. რიონიდგან, რომ ამ სოფლის მცხოვრებელთ, რომელნიც დიდად არიან შევიწროებულნი სხვა-და-სხვა გვარ გარდასახადისაგან, შუამდგომლობა დაიწყეს, სადაც ჯერ არს, რომ განგვათავისუფლეთ ცხენებზედ გაწერილ გარდასახადისაგანაო.

## ფელეტონი

### რა ვნება მოაქვს უცხო ენის ადრე სწავლებას

(მშობელთა და მასწავლებელთა საყურადღებოდ)

კუძღვნი ან. ა. რ—ს.

ოც-და-ათის წლის წინად რუსეთში ერთი მეტად ცუდი და მავნებელი ჩვეულება იყო გავრცელებული. ამ ჩვეულების მიხედვით ყველა მშობელი ვალდებულად სთვლიდა თავისს თავს, აიდგამდნენ თუ არა ენას დედა-ენაზედ ბავშვები, მაშინვე უნდა დაეწყებინებინათ ერთის, ან რამდენისამე უცხო ენის სწავლება. იმ დროში ხშირად შეხვდებოდით სამის წლის ბავშვს, რომელიც ტიტინებდა ფრანგულს, ნემეცურს და რუსულს ენაზედ. ამისათვის დიდს ოჯახებში იჭერდნენ უცხოეთის „ბონნებს“, რომლებმაც ერთი სიტყვაცკი არ იცოდნენ ბავშვების დედაენაზედ და ამიტომ ძალა უნებურად ასწავლიდნენ პატარებს თავისს დედა ენას. ამისთანა უკუღმართმა მიმართულებამ მიიქცია ყურადღება თანამედროვე მწერლობისა, რომელმაც სასტიკად გაჰკიცხა ამნაირი მიმართულება საზოგადოებისა, დაჰგმო უცხო ენის უდროოდ სწავლება და დაადგინა—ვიდრე ბავშვი სხეულით კარგა არ გამაგრებულა და ბუნება არ გაუცვნია დედა-ენის საშუალებით, მანამდის უცხო ენას ბავშვებს არ უნდა ასწავლიდნენო. თუ დღეს რუსეთში ძველის მიმართულების მიმდევარი ცოტაა წინანდელთან შედარებით, ამისი მიზეზნი მაშინდელი მწერლები არიან საზოგადოდ, და პიროგოვი კერძოთ, რომელმაც თავის მშვენიერს წერილში „Вопросы жизни“ ცხადად აღუნიშნა საზოგადოებას სალი მიმართულება ბავშვების კანონიერად აღსაზრდელად.

იმისს მსგავსს მოვლენას, რომელიც რუსეთში შეინიშნებოდა ოც-და-ათის წლის წინად, ცოტა განსხვავებით, ვამჩნევთ ჩვენს კურთხეულს ქვეყანაშიაც. ავიღოთ თუ გინდ ერთი მაგალითი, ამას წინად წარმოთქმული ერთის პედაგოგის მიერ. ჩვენ წინ გვიძევს ამ წლის „ივერიის“ № 131, რომელშიაც ვკითხულობთ შემდეგს: „ჩვენს სკოლებში „Русское слово“-ს პირველი ნაწილი შეიძლება პირველ წელიწადსვე გაიარონ, ლექსიკური განყოფილება, რომელიც წინ წამძღვარებული აქვს ანბანს უნდა გაიარონ პირველ სამოსწავლო წლის პირველ ნახევარში, ე. ი. ენკენისთვიდგან იანვრამდე, ხოლო დანარჩენი—იანვრიდამ მაისამდე. მეორე წელიწადს მეორე ნაწილი „Русское Слово“-სი, ხოლო მესამე წელიწადს შეიძლება რადონეჟსკის: „Книга для чтенія и письменныхъ работъ“ შეისწავლონო“.

ამ აზრის მიმდევარნი და მისი განმახორციელებლები, მასწავლებელთა შორის დღეს ჩვენში ბლომად მოიპოვებიან სხვა-და-სხვა უწყების სკოლებში. ამ ყოვლად უმსგავსის მოვლენის მიზეზად ჩვენ ის გარემოება მიგვაჩნია, რომ ბევრს ჩვენებურს პედაგოგს არა აქვს სალი წარმოდგენა უცხო ენის კანონიერად და შეგნებულად შესწავლის მეთოდისა და ან ამ სალს წარმოდგენას ანაცვალებს სხვა-და-სხვა უღირსს გარემოებათა.

ყველა, ვისაც ყურადღება მიუქცევია ჩვენებურის სკოლებისათვის, შენიშნავდა, რა გვარად მომზადებულ ბავშვებს იძლევა დღევანდელი ჩვენი ოჯახი. ჩვენებურს ბავშვებს სკოლაში შესვლის დროს, უმეტესს შემთხვევაში, არ აქვთ ცოდნა არა თუ გარშემორტყმულ ბუნებისა, არამედ ისეთის საგნებისაც-კი, რომელიც მუდამ გარს ახვევიათ ოჯახსა და სკოლაშიაც. ეს მოვლენა არა მარტო ჩვენში, სხვა ქვეყნებშიაც შეინიშნება, სადაც ჭეშმარიტს განათლებას ჯერ სასურველი ნაყოფი არ გამოუღია. ამისათვის უმთავრეს და უპირველეს საშუალებად ყველა ერის პედაგოგებისა და მოაზრე ადამიანების მიერ აღიარებულია სამშობლო ენა, რომლის შემწეობითაც ბავშვი სინამდვილით გაიცნობს გარშემორტყმულს ბუნებას და შეიძენს საჭირო ცნობებს. საჭირო ცნობების შეძენა ითხოვს ბავშვის სულიერ ძალისაგან ერთგვარ სიძნელეს, რომელსაც ბავშვი ადვილად დასძლევს იმ შემთხვევაში, თუ იგი პირველს წელიწადს მაინც ვარჯიშობს მხოლოდ დედა-ენის საშუალებით. უცხო ენა პირველს წელიწადს ბავშვის გონებას არა თუ ჰმატებს რასმე, აუძლურებს კიდეც. ბავშვის გონება ითხოვს სხვა-და-სხვა მხრივს მეცადინეობას, რომ ერთსა და იმავე დროს შეძლებისა და გვარად ჰმოქმედობდეს ბავშვის ყველა ორგანო. რასაკვირველია, რასაც უნდა აკეთებდეს ბავშვი, ყოველ შემთხვევაში მონაწილეობას იღებს ბავშვის ტვინი, ურომლოდაც შეუძლებელია რომელისამე სამუშაოს შესრულება, მაგრამ დიდი განსხვავებაა ტვინის მუშაობაში იმ დროს, როცა ბავშვი თავისდათავად ჰხატავს რასმე, სჭრის ხაზზედ, ქაღალდს მაკრატლითა, ჰმუშაობს ბაღში და იმ დროს, როცა ესმის მას რომელიმე ფრაზა უცხო ენაზედ, რომელიც უნდა დაიხსომოს. პირველ შემთხვევაში მონაწილეობას იღებს მხედველობა, ხელი, ტვინი, მაგრამ ეს უკანასკნელი ჰმოქმედებს არა ცალმხრივ, არამედ სხვა-და-სხვა მხრივ. რადგანაც მაშინ, როცა ბავშვი ჰმოქმედებს თავისს თავად—გაჰყავს ხაზი უჯრებზე, ან ხაზებზედ სჭრის ქაღალდს მაკრატლით, სრულდება რთული გონებითი პროცესი.

სულ სხვაა, როდესაც ბავშვს ესმის ფრაზა უცხო ენაზედ, რომელიც უნდა დაიხსომოს—ამ შემთხვევაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ მსმენელობა და მეხსიერება. აავსეთ ბავშვის ცხოვრება ამგვარ ფრაზებით და თქვენ აღზრდით ცალმხრივს, მახინჯს არსებას. ყველაფრის სწავლება შეიძლება წარმოებული იქმნას მრავალის ორგანოის საშუალებით, მონაწილეობით, თვალსაჩინოდ, მაგრამ უცხო ენის სწავლების წარმოება სრულიად თვალსაჩინოდ მოუხერხებელია, ამიტომ უდროოდ უცხო ენის სწავლება უფრო მავნებლად

*** როგორც გაზ. „კავკასი“ სწერს, წელს ართვინის ოლქში საფილოქსეროს დასის ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით ბევრმა უწამლა თურმე ვენახებს. ადგილობრივი მცხოვრებელნი უკვე დარწმუნდნენ, რომ წამლობა ძალიან ჰშველის ვენახსაო. ამიტომ მრავალმა მოიწადინა ვენახისათვის ეწამლა, მაგრამ საუბედუროდ, მანქანები და მასალა არა ჰქონდათო. იმედი აქვთ, რომ წელს ყველგან კარგი ღვინის მოსავალი იქმნება. სამაგიეროდ ცივმა ზამთარმა ძალიან დააზიანა ზეთის ხილის ბაღები. შესამჩნევად დაზარალდა აგრეთვე ლეღვი და ბროწეული. რაც შეეხება პურს, შემოდგომის ნათესს კარგი პირი ვერ უჩანს. უწამლიათ აგრეთვე ვენახებისათვის სოხუმის ოლქშიაც. სხვა-და-სხვა სენს ბევრი ვერაფერი დაუკლია ვენახისათვის. წელს იქაც კარგ მოსავალს მოელოდებიან.

*** გაზ. „ტფ. ფურ.“ სწერს, რომ სახელმწიფო საბჭოს განსახილველად წარედგინა პროექტი იმის შესახებ, თუ რამდენი უნდა მიეცეთ იმ ხიზანთ, რომელნიც სხვაგან იქმნებიან გადასახლებული მემამულეთა მიერო. სახელმწიფო საბჭო ამ პროექტს განიხილავს თურმე შემოდგომის სესიის დროს.

*** გაზ. „Сын. От.“ სწერს, რომ კავკასიის დიდ ვაჭართა და მრეწველთ განზრახვა აქვთ, ამ წლის გასულს შუამდგომლობა აღძრან მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მოგვეცით ქ. პეტერბურგს მთელის კავკასიის ვაჭრობა-მრეწველობის ცნობათა განყოფილება დავაარსოთო.

*** გაზ. „კავკას“-ს სწერენ ბათუმიდგან: „ციხის ძირსა და ქაიათში, სადაც სამინისტროს 190 დესეტინამდე მიწა გადასდო იჯარით გასაცემად, გზების გაყვანის საქმის გამოსაკვლევად ამ დღეებში დაათვალიერეს ეს ადგილები ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგემ გ. ი. ზელინსკიმ, იმისმა თანაშემწემ ხოჯაევმა, ბათუმის მეტყევემ ტიტტენბრუნმა და სხვათა. კომისიამ საჭიროდ სცნო სთხოვოს სამინისტროს გადადებულ იქმნას ფული გზების გასაყვანად. გარდა ამისა კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ მიწის ხანგრძლივის (99 წლით) ვადით გაცემის ნაცვლად, მსურველთ ნება მისცეს გამოისყიდონ თავიანთი ნაწილები. მრავალ თხოვნათა შორის, რომელიც მიწის იჯარით აღების მსურველთ ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეს მიართვეს, შეწყნარებულ იქმნა მხოლოდ 84 კაცის თხოვნა“.

*** გაზ. „მშაკი“ სწერს, რომ ქ. ალზევანის მცხოვრებელმა გაბრიელ ცაგიკიანმა, რომელიც ამ ჟამად გერმანიაში სცხოვრობს, აღმოაჩინა ისეთი საშუალება, რომ კაცს შეუძლიან ელექტრონით ახვნევინოს გუთანსაო. ხსენებულ გაზეთის რედაქციას მოსვლია ვრცელი ანგარიში იმის შესახებ, რომ ეს ახალი იარაღი უცდიათ მოლკენბერგის მამულში და ძლიერ კარგი გამომდგარა. ამ ახლად გამოგონილის იარაღით შეიძლება თურმე ერთს დღეს კაცმა ხუთის დღის მამული მოხნას და 12 საათის განმავლობაში ექვსს დღიურზე მეტი სახნავი ადგილი. გერმანიის მემამულენი აპირობენ თურმე ამ ახლად გამოგონილის იარაღის შეძენას.

*** გაზ. „სვეტ“-ი სწერს, რომ რადგან ამიერ კავკასიაში დღითი დღე ვრცელდება ბამბის მოვლა-მოყვანა, ამიტომ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გარდასწყვიტა სამაგალითოდ გაჰმართოს ერევნისა და განჯის გუბერნიაში ბამბის რამდენიმე მოშენებული მინდორიო.

*** გორი. მკითხველებს ეხსომებათ, რომ წარსულს ზამთარს დღისით თავს დაესხნენ ვიღაც ბოროტმოქმედნი გორის მაზრის სოფ. ხციsის მემამულეს თავ. თ. კ. ციციშვილს და გასძარცვეს. პოლიცია მაშინვე გულმოდგინედ შეუდგა დამნაშავეთა ძებნას, მაგრამ ვერ აღმოაჩინა. 7 ივლისს ციციშვილის მეუღლე კნ. ბარბარე ტფილისიდგან მოდიოდა მატარებლით, ერთის ნაცნობის, აღგილობრივის მემამულის ცოლის თითზედ დაინახა ბეჭედი და იცნო ჰკითხა, სად იყიდეო, და ქალმა უპასუხა, რომ ერთის თათრის ქალისაგან, რომელიც მთელს მაზრაში დადის და ვაჭრობს სხვა-და სხვა ნივთებითაო. იმის დასამტკიცებლად, რომ ის ბეჭედი კნ. ბარბარე ციციშვილისა იყო, ბეჭდის რგოლის შიგნიდგან ნემსით ამოჭრილი სიტყვა „ბაბო“ უჩვენა, რომლის ერთი ასო „ბ“ საუცხოვოდ ემჩნეოდა. გორში ჩამოსვლისათანავე მაზრის უფროსს გამოუცხადა ყოველივე და მაშინვე პოლიციის მოხელენი იქმნენ გაგზავნილნი საქმის გამოსაძიებლად სოფ. დოესში. იმედია, ეხლა მაინც აღმოაჩენს პოლიცია დამნაშავეთ.

*** სოფ. საყულია, (ქუთაისის მაზრა). მოსავალს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს. მეტადრე კარგი მოსავალია ვაკე იმერეთში და ხალხიც დიდად გახარებულია კარგის ჭირნახულის ცქერით. მეტად გვაღონებდა აქაურ გზის უვარგისობა, მაგრამ მაზრის უფროსის წყალობით გზა გაგვიკეთდა და დილიჟანმაც დაიწყო სიარული. 50 კაპ. ჩავა კაცი ქუთაისში და ამავე ფასად ორის საათის განმავლობაში ამოვა სოფ. საყულიას.

*** სოფ. პატარძეული. პირველ ივლისს აკურთხეს აქ წიგნთ-საცავის შენობის საძირკველი და შეუდგნენ კიდეც აშენებას. როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, ეს წიგნთ-საცავი დააარსა თავისის ხარჯით პავლე ყუშიტაშვილმა მთავრობის ნებართვით. ექვსასამდე წიგნები უკვე შეიძინა, ეხლა თავისივე ხარჯით შეისყიდა ზაქარია ბიბილაშვილისგან 71 საჟენი მიწა და აშენებს თავისისავე ხარჯით წიგნთ-საცავის მოსათავსებელს სახლს. შენობა ძლიერ კარგს ადგილას არის, თითქმის თვალია მთელს პატარძეულში. დიდის მადლობის ღირსია პავლე ყუშიტაშვილი ასეთის კეთილის საქმისათვის. კარგი იქნება, რომ აქაური მცხოვრებლებიც დაეხმარნენ ამ საქმეში და უფრო გააუმჯობესონ. ღვთის მადლით, ბევრი განათლებულები და შემძლე ხალხი სცხოვრობს სოფ. პატარძეულში. ჩვენის აზრით, თითონაც რომ დაეხმარნენ, შეიძლება ეს შენობა ბევრს სხვა კეთილ საქმეშიაც მოიხმარონ, როგორც მაგალითად, შეიძლება გაკეთდეს პატარა სცენა და სხვ.

*** 11 ივლისს მე-3 ნაწილის ბოქაულს გამოუცხადა კბილის ექიმმა ვოლფზონმა, რომ წუხელის ვიღამაც სახლიდგან 80 მან. სხვა-და-სხვა ნივთები მომპარაო. პოლიცია ქურდს დაეძებს.

*** 11 ივლისს, საღამოს 7 საათზედ, მადათოვის კუნძულზედ, კონკაში ტფილისის მცხოვრებელმა იაკობ ტერ-ოჰანეზოვმა და პეტრე კრასოვსკიმ ქიქოძის ქვრივს სოფიოს ჯიბიდგან ამოაცალეს ქისა, რომელშიაც 9 მან. ჰქონია ქიქოძისას.

## წერილი ს. მიქელ-გაბრიელიდგან

(გურია)

კორესპონდენტი და თავადის მუქარა.— ჩვენი არჩევანები და „არა-მკითხე მოამბე“. საიქიოს მიმავალი სკოლა.—სუფსის გზა.—ამინდი და მოსავალი.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენებური გაზეთის კორესპონდენტი ჩინეთ იაპონიასა და ესპანია-ამერიკის ომზედ კი არ საუბრობს, არამედ თავისის სოფლისა, თუ ქალაქის ჭირ-ვარამს აღვენებს თვალყურს და აქვეყნებს გაზეთის ფურცლებზედ. ამ გამოქვეყნების დროს, რასაკვირველია, განყენებული მსჯელობა ნაკლებ საჭიროა, კორესპონდენტი ძირს ეშვება, ის უბრალო სიკვდილის შვილთა შორის ეძებს იმ საჭირო მასალას, რომელიც საზოგადო დასკვნისთვის გამოადგება. ის ამ დროს ნებაუნებურად უქნევს წვეპლას ამა თუ იმ მღვდელს, რომელთაც რაიმე მანკიერება სოფლის ცხოვრებაზედ გავლენა მოუხდენიათ და სოფლის აკვარგიანობის ჩარხს თავიანთის გემოვნების მიხედვით დაუბრუნდათ სტრიალებენ. ხშირად ის წვეპლა, რომელსაც ბეჭდვითი სიტყვა ჰქვიან, დაწნულს მათრახზედ უფრო მწვავეა, რასაკვირველია, თუ ორ ფეხს მეტის-მეტი სქელი კანი არა აქვს. თუ რომ წვეპლა ვინმე მგრძნობიარე არსებას გაეკრა, მაშინ ხომ ბარგი უნდა აიკრათ. ყველაფერი ეს მათქმევინა წინანდელმა ჩემმა წერილმა, სადაც, სხვათა შორის, ერთის თავადის მიერ მასწავლებლის ცხენის ხელში მოკვლა, როგორც აქაურ ზნე ჩვეულებათა დამახასიათებელი მოვლენა. თურმე უკადრისად დავრჩით, რომ ძალ-მომრეობას თავისი სახელი ვუწოდეთ! „მაცალოს, მისს მასწავლებლობას ზედ მივატიებინებო, ჰქადის თურმე თავადმა. თუ არა და იმ ცხენის მაინც ხელდით ტყავს გავაძრობო!“ „მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“, იტყვიან. აქაურს კორესპონდენტსაც უნდა ჰყავდეს შეკაზმული ცხენი, რომ დროზე მოჰკურცხლოს სადმე, მაგრამ მაშინ თავადი ხომ უცხენოდ დარჩებოდა! ჩვენ შეკაზმული-კი არა, შესაკაზმავიც არა გვყავს, მაგრამ ჩვენებური-ძველებური ამბავი მაინც უნდა ვსწეროთ... ორი კვირის წინად ჩვენში სოფლის მოხელეების არჩევანები იყო. პირველი საქმე, რასაკვირველია, მამასახლისი. ჩვენ ასე გვგონია, რომ სხვაგან მამასახლისს არჩევენ გლეხები; აქ-კი, მიქელ-გაბრიელში ეს დღემდე სულ სხვაფრივ ხდებოდა: მამასახლისს არჩევდა ორიოდე კაცი, რადგანაც ამას მოითხოვდა იმათი კერძო სარგებლობა; დღემდე საზოგადოება გარიყული იყო. ამ არჩევნებზედაც წამოჰყო თავი ერთმა ასეთმა „არა-მკითხე მოამბემ“ და საზოგადოებას თავისი უსასყიდლო სამსახური მიაწოდა: „მამასახლისს მე ამოგირჩევთ, თქვენ ნუ ირჯებითო“, და კიდეც დაასახელა, ვინც იმასა სურდა. სოფ. სამხთომ ერთხმად უარ-

ჰმოქმედებს ბავშვის სხეულზედ, ვიდრე სხვა ცნობებისა, რადგანაც მეხსიერების ძალდატანება დიდად მავნებელია ყველა ასაკში და მით უფრო ნორჩის არსებისათვის. ტვინის ცალმხრივ მუშაობა ბევრს სამაგიეროს ითხოვს, ბევრს საზრდოს და ეს საზრდო, რომელიც საჭიროა მთელის სხეულის თანაბრად გამოსაკვებად, მიდის, უმეტესს შემთხვევაში, ტვინისაკენ; ამის გამო სხეულის კუნთები სუსტდება, სუსტდება მთელი სტომაქი; ბავშვს უჭირდება საჭმლის მონელება, ყვითლდება და სახით ემსგავსება იმისთანა ტანჯულს არსებას, რომელიც ყველას მიერ ცნობილია. ბოლოს ამისთანა ბავშვებს მეხსიერება მთლად უჩლუნგდებათ, ან ხდებიან მეტის მეტად მგრძნობიარენი, ანჩხლნი და ამ თვისებიდგან ავად გახდომამდის დიდი მანძილი არ არის.

სტატისტიკა ბევრს საყურადღებო ცნობას შეგვძენდა იმის შესახებ, თუ რომელი ბავშვები ჰხდებიან ხშირად ავად და ჰკვდებიან კიდეც ისინი, ვისაც ადრე დაუწყია ტვინის ცალმხრივ მუშაობით უცხო ენის შესწავლა, თუ ისინი, ვისაც უცხო ენის შესწავლა დაუწყია ცოტა გვიან. ჩვენის აზრის დასასაბუთებლად მოვიყვანთ ცნობებს რუსეთის ერთის ცნობილის პედაგოგისას:

„Извѣстно, что дѣти въ столицахъ, и въ богатыхъ домахъ, гдѣ умственное образованіе болѣе распространено, имѣютъ больше изнуренный видъ, нежели дѣти въ деревняхъ. Это обыкновенно приписывается недостатку свѣжаго воздуха и хорошей пищи, но нельзя тутъ не видѣть также вліянія ранняго обученія языкамъ, тѣмъ болѣе, что въ семействахъ въ деревнѣ, пользующихся ея воздухомъ и пищею, но окружающихъ себя французскими или нѣмецкими гувернантками, дѣти рѣдко бываютъ сильны, а городскія семейства, ведущія простую и не затѣйливую жизнь, безъ разговора на чужихъ языкахъ, имѣютъ здоровыхъ дѣтей (იხ. პრაქტიკული აღზრდა მცირე წლოვანის ბავშვებისა ა. ი. სიმონოვიჩის, გვ. 249).

ყველა ცნობილი პედაგოგი და მათ შორის მზრუნველი კავკასიის სამოსწავლო ოლქისა კ. პ. იანოვსკი, რომელიც ამ ჟამად სტამბავს ვრცელს წერილს აღზრდისა და სწავლების შესახებ ჟურნალ „Русская школа“-ში, — იმ აზრისაა, რომ ერთკლასიან თუ ორ-კლასიან სკოლებს საზოგადო განათლების ხასიათი უნდა ჰქონდესო. საზოგადო განათლება მაშინ სდგას ნაყოფიერს ნიადაგზედ, როდესაც ერთ-კლასიანს სკოლებში მაინც განათლება შეიძინება დედა-ენის საშუალებით. ადამიანი იბადება, სცხოვრებს და იზრდება საზოგადოდ თავისს ქვეყანაში, თავისს ხალხში. ყველაფერს, რაც გარს არტყია ადამიანს — ხალხს, ცნობებს, ზნე-ხასიათს, ჩვეულებას, საზოგადოდ ყველა გარშემორტყმულ არსებას, ბუნებას თავისის ხელოვნურისა და ბუნებრივის ნაწარმოებით, გავლენა აქვს ადამიანზედ. ადამიანიც ბავშვობიდგან ემორჩილება ამ გავლენას და შთაბეჭდილებას იღებს გრძნობათა ორგანოების შემწეობით და შემდეგ ითვისებს. ბავშვის გონებაში ჩნდება სხვა-და-სხვა წარმოდგენა — ცნება, აზრი, გრძნობა და სურვილი და, ერთის სიტყვით, მთელი მისი სულიერი სიმდიდრე, რომელსაც მოსდევს ადამიანის სულის განვითარებაც.

ბავშვი თან დაყოლილ ნიჭიერებათა ვარჯიშობით, შთაბეჭდილებათა შეთვისებით სამშობლო ენაზედ თან და თან ვითარდება, მაგრდება და ძლიერი ხდება შემდეგ შთაბეჭდილებათა კარგად შესათვისებლად და უცხო ენის შესასწავლად. სწორედ ისე, როგორც ვითარდება ჩვენი სხეულის კუთები და საზოგადოდ ჩვენის სხეულის ძალა, მთელი ჩვენი სხეული იმის გამო, რომ ჩვენ ვღებულობთ საჭმელს, ვმოძრაობთ და ვასრულებთ ფიზიკურს სამუშაოს. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით გამოცდილებით, რომ თუ ძალზედ მეტსა ვსჭამთ, ანუ ცოტას, ან ვხმარობთ ისეთს საჭმელს, რომელსაც ჩვენი სტომაქი ვერ ინელებს, მაშინ ავადა ვხდებით და ან ძლიერ ვსუსტდებით. ავიღოთ სხვა მაგალითი — ვსთქვათ მოვახდინეთ მეტად ძლიერი მოძრაობა, ან ავწიეთ ჩვენთვის მეტად სამძიმო ნივთი, ამით ჩვენ შეგვიძლია საუკუნოთ შევარყიოთ ჩვენი ჯანმრთელობა. თუ დიდხანს ვასრულებთ რომელსამე ფიზიკურს სამუშაოს, ან ხელს ვკიდებთ ისეთს სამუშაოს, რომელიც ჩვენს ძალას აღემატება, შეგვიძლიან ჩვენის სხეულის მოქანცვა-მოღალვა. მაშასადამე, ყველა ამ შემთხვევაში ადამიანის სხეულის განვითარება წესიერად არა სწარმოებს, პირ-იქით, ასეთი განვითარება სხეულისა იქნება — სნეული განვითარება. სწორედ ასეთი შედეგი მოელის ბავშვის სულიერად განვითარებასაც, თუ ბავშვის სულიერი ნიჭიერებანი გართულია ძალაზედ აღმატებულს მეცადინეობასა და ვარჯიშობაში. მაშასადამე, სწორი და საღი განვითარება სულიერ და ხორციელ ძალისა დამოკიდებულია ისეთს სავარჯიშოებისაგან, რომელიც მარგებელი უნდა იყოს ყოველს შემთხვევაში.

ეს ვარჯიშობანი თავდაპირველად ბავშვის სულიერ ძალათა განვითარებისათვის, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მდგომარეობს გარეგან შთაბეჭდილებათა შეგნება-შეთვისებაში, რომელსაც მოახდენს ბავშვზე ყველაფერი, რაც მას გარს არტყია. რა არტყია გარშემო ბავშვს? — ადგილი, სადაც სცხოვრობს, და ხალხი, რომელიც ლაპარაკობს იმის დედაენაზედ. ეს გარშემორტყმული ბუნება შეადგენს ბუნებრივს, ყოვლად შეუცვლელს და სრულიად შესაფერისს მასალას ბავშვის ხორციელ და სულიერ ნიჭიერებათა ყოველ მხრივ განვითარებისათვის და, მაშასადამე, მისის საზოგადო განათლებისათვისაც, რომელიც ცოტად თუ ბევრად წინ უნდა უსწრებდეს უცხო ენის სწავლებას. აქ მოვიყვანთ აზრს ისეთის პედაგოგებისას, რომლებიც სრულიად მიუდგომლად, მარტო პედაგოგიურის მოსაზრებით შეეხებიან ამ საგანს:

„Я положительно убѣжденъ, что знаніе родного языка должно предшествовать иностранному, потому что первое кладетъ прочный фундаментъ, на которомъ основательно утверждаются другія; ибо является возможность сравнительнаго изученія, вся мыслительная способность будетъ работать при этомъ; все познаваемое будетъ ясно, логично объясняться предыдущимъ; не только сходство, но и самое различіе бу-

ჭყო „არამკითხეს“ წინადადება, მას მიჰყვნენ სხვებიც და გაათეთრეს სხვა კანდიდატი, რომელსაც დროებით ებარა ჯაჭვი. ახლად არჩეულმა თავისს დროებით მამასახლისობაში თურმე წინააღმდეგობა გაუწია ამ არამკითხეს, როცა მის მიერ მოჩმახულ სამრევლო სკოლის შესახებს განაჩენს არ ამოწმებდა. ეს იყო რისხვის მიზეზი, მაგრამ ბარაქალა ამომრჩევლებს! დღეს იმათ ადვილად ვერავინ მოატყუებს: სუნით იტყობენ, სად არის მაღლი დამარხული. ჩვენში მამასახლისებს იმიტომ ირჩევდნენ, რომ ამასა თუ იმას კარგი მოსამსახურე და ყურ-მოჭრილი ყმა გასჩენოდა. ეხლანდელს მამასახლისს მეტი სიფხიზლე შეჰფერის; მისთვის საჭიროა, რომ ყოველთ უწინარეს დააღწიოს თავი სხვისის გავლენის ქვეშე ყოფნას, ამგვარად უარ-ჰყოს ბაქი-ბუქი-ტრაბახა წინამოადგილის გზა და მალ-ღონე ამომრჩევლების კეთილ-დღეობას მოახმაროს. აი, სწორედ მაშინ იქნება ის პატივისცემის ღირსი, როცა პირნათლად შეასრულებს იმას, რაც კარგა ხანია უნდა გაეკეთებინათ წინანდელ მამასახლისებს, მაგრამ, საუბედუროდ, მაგისთვის არ ეცალათ.

პირველი საქმე სოფლისკენ პირნაქნარის სკოლის მობრუნება. „შენობა, შენობაო“, ბეჩავად წუწუნებს ბოჯიკა მისობილი ორ-კლასიანი სასწავლებელი. არ არის არც სასურავი, არც ბოკონები, არც იატაკი და სასწავლებლის სახელს-კი ატარებს ის რაღაც ოთხი დამპალი კედელი. ქება და დიდება იმ კაუბატონებს, რომელთა მეოხებით საზოგადოება შუაზედ გაიპო და სამინისტრო სასწავლებელს მირი გამოუთხარა! იმათს ღვაწლს ვერ დავივიწყებთ! ვინ იცის, ეხლა ეგებ მშვენიერი შენობა გვქონებოდა, ისე, როგორც ამ თორმეტ ცამეტის წლის წინ ავაშენეთ ერთ-კლასიანი სკოლის შენობა. მაგრამ დაწყებულს საქმეს რომ კბილის გამომხვრელები არ გაუჩნდნენ, განა ისე შეიძლება კეთილის საქმის გაკეთება?.. აი, აქ უნდა დატრიალდეს ახალი მამასახლისი, ამ სკოლის მასწავლებლებისა და შეგნებულ კაცების დახმარებით და სკოლის ბედ-იღბალი გადასწყვიტოს.

მეორე საქმე არა ნაკლებ საჭირო და ძნელი არის გზები, განსაკუთრებით სადგ. სუფსაში მიმავალი შარა. რამდენჯერ აგვიტეხია ერთი დავიდარაბა ამ გზის გაკეთების თაობაზედ, რამდენი გვილაპარაკნია, რამდენჯერ სამუშაოც დაგვირიგებია სათითაოდ, მაგრამ გზის გაკეთება შეუსრულებელი რჩება. ამ გზის საჭიროება-კი დღითი-დღე უფრო და უფრო აშკარავდება. რაც მდ. სუფსაზედ ხიდი გაკეთდა, მას შემდეგ ყოველ დღე ჰხედავთ სუფსაში მიმავალს ქვეითს, ცხენოსანს და მეურმეს. დღეს თუ რამე სულის მოსაბრუნებელი გაგვაჩნია, ამ გზაზედ უნდა გავატაროთ რის ვაი-ვაგლახით და წვალებით; აქ ყოველ დღე დადის ერი, ბერი, მღვდელი, და გზის გაკეთებაც ყველამ უნდა ვიკისროთ. რამდენადაც ვიცი, ყველანი მზად არიან მონაწილეობა მიიღონ საქმეში, ოღონდ მოთავე გამოჩნდეს და მუშაობა გააწესრიგოს. ეს-კი მამასახლისმა უნდა ჰქნას და საზოგადოებაც მადლიერი დარჩება. დავანებოთ ჯერ-ჯერობით თავი სხვა საჭირო საქმეებს და ვუსურვოთ ახალს მამასახლისს ამ ორის საქმის კეთილად შესრულება.

ამ ჟამად ჩვენში სიცხეები დაიჭირა; წინად-კი მთელი ორი კვირა სწვიმდა; საზოგადოდ „ჭეიყორიანი“ (წვიმიანი) წელიწადი იყო; სიმინდი ალაგ-ალაგ კარგია; საერთოდ-კი ნაკლები და ბევრი უმარგლიც არის. სიმინდის ფასის აწევამ ერთი იმედი მოგვიმატა, მაგრამ დღეს ისევ ექვსი მაური გახდა და იმედი გაგვიცრუვდა. ჩვენი მეუაჭე ქალები აღარა ჰხუმრობენ. პირველ მოსავალზედ ხელი შეეშალათ, ბევრმა თესლიც ვერ იშოვა, მაგრამ მეორე მოსავალს უფრო გულით ეკიდებიან; ზოგს მესამე მოსავალის იმედიცა გვაქვს, როცა ეს მეორე მოთავდება. ფასი ფუთი პარკისა 12 მანეთამდის ადის, რაც კარგა საგრძნობ შემოსავალს უკეთებს აქაურს ღარიბს ოჯახს. „ადესის“ ყურძენს ალაგ-ალაგ კარგა ბლომად ასხია; „ჩხავერმა“ და „მტევან-დიდმა“ თქვენი ჭირი წაიღო...

ვ. სეფისპირელი

## რუსეთი

—

კერძო საეკონომიო საზოგადოებამ დაადგინა მომავალ წლის პირველ სექტემბერს რძისაგან დამზადებულ საგნების გამოფენა გაჰმართოს ქ. პეტერბურგში. გამოფენილ იქმნება მთლად რუსეთის იმპერიაში დამზადებული საგნები და საზღვარ-გარეთიდგან გამოგზავნილი ყოველგვარი იარაღი ამ საგნების დასამზადებლად. გამოფენის დროს გამართულ იქმნება მთელის რუსეთის მერძევეთა კრება.

— 15 ივლისიდგან დაიწყება იმათ თხოვნების მიღება, რომელთაც ჰსურთ პეტერბურგის უნივერსიტეტსა, დედათა სამკურნალო ინსტიტუტსა და იმპერატორ ნიკოლოოზ I-ის სატეხნოლოგიო ინსტიტუტში შესვლა.

— საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ იმ მასწავლებელთ, რომელნიც ერთსა და იმავე დროს ორს სასწავლებელში, მაგალითად ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში, იმსახურებენ 25 წელს, პენსია არ დაენიშნებათ სამსახურის ვადის შესრულებისა გამო, ვიდრე ერთ-ერთს სასწავლებელში თავს არ დაანებებენ სამსახურსაო.

— ვარშავის პოლიტეხნიკუმის დირექტორად უკვე დანიშნულ იქმნა ბ-ნი ლაგორიო და კიევის პოლიტეხნიკუმის დირექტორად ბ-ნი კირპიჩევი.

— პეტერბურგს დაარსებულ იქმნა ლუდის მომზადების ხელის შესასწავლად განსაკუთრებული სასწავლებელი, რომლის დირექტორადაც დანიშნულ იქმნა პეტერბურგის სატეხნოლოგიო ინსტიტუტის პროფესორი ბ-ნი ტავილდაროვი.

— საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს ამ ახლო მომავალში სამინისტროს ქვემდებარე დაბალ და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა საზაფხულო ახალშენების ნორმალური წესდება შეიმუშავოს.

— განზრახვა იქვთ რკინის გზების ყოველ სატეხნიკო სასწავლებელთან ხატვა ხაზვის მუდმივი კურსები დააარსონ ამ გზების დაბალ ხარისხის მოხელეთათვის.

— წელს მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სწავლა დაამთავრა 53 კაცმა.

— მომავალ შემოდგომას ფინლანდიის სოფლებში გაჰმართავენ თურმე კურსებს გლეხთათვის და ხალხს წაუკითხავენ ლექციებს მიწათ-მოქმედებისა და სასოფლო მეურნეობის შესახებ.

## უცხოეთი

—

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** ესპანელებისა და ამერიკელების წარმომადგენელთ წარსულს პარასკევს შემდეგი ხელშეკრულება დასდეს სანტ-იაგოს დამორჩილების შესახებ:

1. სანტ-იაგოდგან გაქცეულთ, რიცხვით 20,000 ქალსა და კაცს, ნება ეძლევათ უკანვე დაბრუნდნენ.

2, ამერიკელებმა თვალ-ყური უნდა ადევნონ სანტ-იაგოდგან მიმავალ გზებს. აგრეთვე მათ უნდა შეინახონ დაჭრილი და ავადმყოფი ესპანელები.

3, სანტ-იაგოს პროვინციაში მყოფმა ესპანიის ჯარმა, გარდა იმისა, რომელიც გალდგუინშია, ქალაქში უნდა მოიყაროს თავი და დაემორჩილოს ამერიკელებს.

4, გენერალმა ტორალმა უნდა გადასცეს ამერიკელებს ზარბაზნები.

5, ამერიკელებმა ყველა ესპანელები ესპანიაში უნდა გაჰგზავნონ. ამ უკანასკნელთ შეუძლიანთ წაიღონ თან ყოველივე მოძრავი საკუთრება, აგრეთვე ეკკლესიის ქონება.

6, ესპანელებმა უნდა გადასცენ ამერიკელებს საომარი იარაღი — აგრეთვე უნდა ააფეთქონ ნავთ-სადგურში ჩამალული ნაღმები.

ყველაზედ მეტი ლაპარაკი ამ უკანასკნელმა მუხლმა გამოიწვია. ესპანელებს არაფრის გულისათვის არ უნდოდათ იარაღი გადაეცათ ამერიკელებისათვის. ისინი თხოულობდნენ — იარაღით ხელში გაეშვათ სანტ-იაგოდგანაო. შაფტერმა პირველ ხანს შეიწყნარა კიდეც ეს თხოვნა, მაგრამ შემდეგ, როდესაც ვაშინგტონიდგან ბრძანება მიიღო, იარაღს ნუ დაანებებო, უარი შეუთვალა.

— ვაშინგტონიდგან დეპეშით იუწყებიან: „ხმა დადის, რომ პრეზიდენტი წინააღმდეგია ფილიპეს კუნძულების შემოერთებისაო. პრეზიდენტი კმაყოფილი იქმნება, თუ ესპანიამ კუბა განათავისუფლა და პორტო რიკო დაუთმო ამერიკას. მაკ-კინლეის აზრადა აქვს აგრეთვე არც სამხედრო გარდასახადი მოსთხოვოს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ესპანია უფრო ომს განაგრძობს, ვიდრე ფულს გაიღებს“.

— გაზ. „Berliner Tageblatt“-ი სწერს: „ავადმყოფობა სანტ-იაგოში მყოფ ამერიკის ჯარის შორის დღითი-დღე უფრო ვრცელდება. 30% ჯარისა უკვე ავად არის. ისე დღე არ გავა, რომ რამდენიმე ჯარის-კაცი არ გარდაიცვალოს. შაფტერი ყოველ ღონესა ღონობს, რაც შეიძლება მალე გადაიყვანოს ჯარი სადმე მთა ადგილას, სადაც ციებ-ცხელება არ იცისო“.

—

**ესპანია.** თითქმის ყოველი დეპეშა, მადრიდიდგან მოსული იმას იუწყება, რომ კარლისტები მთელ ესპანიას მოედვნენ და ხალხს აჯანყებულად ამზადებენო. მათ ყველა ქალაქსა და სოფელში წარმომადგენელი ჰყავთ. კარლისტების უმთავრესი ძალა სოფლის სამღვდელოებაა, რომელიც ყურადღებას არ აქცევს არც პაპის და არც ეპისკოპოსების ბრძანებას. განსაკუთრებით დონ-კარლოსისათვის თავ-გამოდებული არის ნავარის, კატალონის და ვალენსის სამღვდელოება. მათ ამ პროვინ-

---

детъ однимъ изъ средствъ къ провѣркѣ и укрепленію одного знанія другимъ. Преподаваніе родного языка должно предшествовать двумя ступенями преподаванію иностраннаго, чтобы служить прочной основой для сравнительнаго изученія“ (იხ. ჟურნალი „Семья и Школа“ 1873 წ. № 9.).

ეხლა, ბატონებო თუ არ დაიშლით და შესაძლებელად მიგაჩნიათ, პირველ წელსვე დაასრულებინეთ ახლად სკოლაში შემოსულს შვიდ-რვა წლის ბავშვებს „Русское Слово“-ს პირველი ნაწილი. მაგრამ რას მოახდენთ ამით? — ბავშვმა პირველ წელსვე თავისს დედა-ენასა და უცხო ენაზედაც წერა-კითხვა უნდა შეისწავლოს, უნდა შეისწავლოს აგრეთვე 500 — 600-ზედ მეტი უცხო სიტყვა და მათი ხმარება და ბევრი სხვა, რაც სულ ბავშვის მეხსიერებისათვის აუტანელი ბარგია. დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეს ყველა, რომ ასეთის აჩქარებულ უცხო ენის სწავლებით ბავშვისაგან შეჰქმნიან არა გონება განვითარებულს, არამედ ხორციელად დატანჯულს და სულიერად კრეტინს არსებას.

ყველა საკითხი ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმისა აუცილებლად უნდა სწყდებოდეს პედაგოგიის კანონთა მიხედვით. ის პედაგოგი, რომელიც მოინდომებს „Русское Слово“-ს ორივე ნაწილის ორის წლის განმავლობაში გავლას მოსწავლეებთან, დიდს შეცდომას ჩაიდენს, რომლითაც ვნებას მოუტანს არა მარტო მოსწავლეებს, არამედ თვით სახელმწიფო ენის კანონიერად და შეგნებულად შესწავლასაც. მოზრდილ ადამიანსაც უჭირს პირველად ლაპარაკი უცხო ენაზედ, რადგანაც არ იცის ჯერ საკმაო რიცხვი უცხო სიტყვებისა, მით უმეტეს ამ სიძნელიდგან თავის დაღწევა გაუჭირდება ისეთს ბავშვს, რომელიც დედა-ენაში არ არის გაწაფული, არ აქვს შეძენილი ნამდვილი ცნობანი ნივთების შესახებ და არ შეუძლიან ამ ცნებათა ერთმანეთზედ გადაბმა. ბავშვებმა თავდაპირველად უნდა ისწავლონ ლაპარაკი — ე. ი. აზროვნობა და თავისის აზრის აღნიშვნა. ეს შეადგენს, რა საკვირველია, ერთგვარ სიძნელეს — მეცნიერებას, რომლის შეთვისება და შეგნება მოსახერხებელია მხოლოდ დედა-ენის საშუალებით, რადგანაც იგი სამართლიანად ითვლება საუკეთესო საშუალებად ყველა საჭირო სათნოებისა და ცოდნის შეძენისათვის. ყოველივე კეთილი თესლი უნდა ჩაითესოს ბავშვის გონებაში ბავშვობიდგანვე დედა-ენის საშუალებით. მაგრამ შესაძლებელია ერთის საგნით მეცადინეობა კანონიერად, როდესაც ერთსა და იმავე დროს იძლევიან ორს-სამს მეტს საგანს? ეს მეტი საგანია უცხო ენა, რომელიც უშლის ბავშვს პირველ წელიწადს მაინც ელემენტარულის განათლების საფუძვლიანად შეძენას და რომლის სწავლებაც დრომდის გადადებული უნდა იქმნას.

სანამდის უნდა იქმნას გადადებული უცხო ენის სწავლება? ამის შესახებ პედაგოგები სხვა-და-სხვა პასუხს იძლევიან: რამდენადაც ბავშვი სუსტია აგებულებით, იმდენად უცხო ენის სწავლება უფრო გვიან უნდა იწყებოდეს — უმრავლესობის აზრით, ათს წელზედ ადრე სწავლება უცხო ენისა სასურველს ნაყოფს ვერ მოიტანს. ამ ხანში ბავშვის ტვინი უფრო გამაგრებულია და გონებით მოქმედებასა და ფიზიკურ შრომასთან ერთად თან-და-თან უფრო მაგრდება. ამ ასაკში ბავშვს კარგად ესმის მნიშვნელობა უცხო ენის სწავლებისა და ამ შეგნებასაც დიდი მნიშვნელობა ექნება სწავლის წარმატებით მსვლელობისათვის.

რამდენადაც რუსულის ენის შესწავლას აქვს დიდი მნიშვნელობა ყველა ქართველისათვის და ერთგულის ქვეშევრდომისათვის საზოგადოდ ბევრის მხრივ, იმდენად უფრო ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ სახელმწიფო ენა შესწავლული იქმნას ყველა ქართველის მიერ სრულიად შეგნებულად და არა მეხანიკურად, ანუ თუთიყუშურად. ყველა ქართველი, წოდების განურჩევლად, რომ მიწადინებულია თითონ და თავისს შვილებსაც ადრე შეასწავლოს სახელმწიფო ენა, ეს ყოველს ეჭვს გარეშეა, მხოლოდ წესი, დრო და რიგი სწავლებისა-კი დღემდის ბურუსით არის მოცული. ამ რამდენისამე წლის წინად ადგილობრივმა სამოსწავლო მთავრობამ გამოსცა უმაღლესის მთავრობის მიერ დამტკიცებული სამოსწავლო გეგმა რუსულის ენის სწავლებისა ჩვენებურს სკოლებში. ეს გეგმა, როგორც ნაყოფი პედაგოგიურის მოსაზრებისა, მოწონებულ იქმნა უმაღლესის მთავრობისა და პედაგოგების მიერ. ხსენებულის გეგმის კანონიერად შესრულებით დაკმაყოფილებული იქმნება მთავარი მოთხოვნილება რუსულის ენის კანონიერად და შეგნებულად შესწავლისა, რასაც ითხოვს ჩვენის ცხოვრების დღევანდელი გარემოებაც.

ამ გეგმის ძალით, რუსულის ენის სწავლება იწყება პირველის წლის მეორე ნახევრიდგან ლექსიურად. ეს არის დასაწყისი რუსულის ენის შესწავლისა და რამდენადაც დასაწყისი ანუ საფუძველი კარგია და მკვიდრად არის დადგმული, იმდენად უკეთესი ნაყოფი მოაქვს შემდეგში. ტყუილად არ ამბობენ რუსები: „Хорошее начало полъ дѣла откачало“. თუ ეს პირველი საფუძველი შეგნებულად და გონივრულად იქმნა ჩადგმული მასწავლებლის მიერ და შეთვისებული მოსწავლეების მიერ მეხსიერების ძალდაუტანებლად, მაშინ შემდეგი ნაბიჯიც სასურველს ნაყოფს მოიტანს. Non multum sed multo (ცოტა, მაგრამ ბევრიო), აი დევიზი, რომლის განხორციელებასაც უნდა სცდილობდეს ყველა მასწავლებელი რუსულის ენის სწავლების დროსაც. მაგრამ ამას დღეს ჩვენში ზოგი საჭირო ყურადღებას არ აქცევს და ურჩევს მასწავლებლებს, ორის წლის მასალა ერთს წელიწადში გაიაროთო. ჩვენ-კი ყოველთვის ურწმუნოდ ვუცქერდით და დღესაც ვუცქერით იმ ზღაპრულ ნაყოფს, რომელსაც მოელიან ზოგიერთები უცხო ენის აჩქარებით სწავლებისაგან. აჩქარება თუ სხვა საქმეში არ ვარგა, მით უფრო გამოუყენებელია იგი სწავლების საქმეში, გვგონია, ამას დაემოწმება ყველა, ვისაც საქმე ჰქონია ბავშვების სწავლებასთან და ესმის აზრი გონიერის პედაგოგიისა.

ლ. ბოცვაძე

ციების ხალხი უკვე მოამზადეს ასაჯანყებლად. საფრანგეთის დროშის ერთი ბრძანება, რომ ხალხი ფეხზედ დადგეს და აწინდელ მთავრობას შეებრძოლოს, მაგრამ არც მთავრობა ზის გულ-ხელ დაკრეფილი. მას 200,000 ჯარი უკვე მზადა ჰყავს. მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო, რომ ამბოხება არსად მოხდეს. ყველა ქალაქსა და დიდ სოფელში ჯარი ჩააყენა; საჯარო მანიფესტაციები და კრებები აღკრძალა. არც ერთის გაზეთის დაბეჭდვა არ შეიძლება, ვიდრე მას სამხედრო მოხელე არ გადაათვალიერებს და არ ამოშლის იმას, რაც არ ეჭაშნიკება. მთავრობამ ზოგი გაზეთის ბეჭდვაც-კი აღკრძალა. ყოველ დღე აყარებენ ხალხს აპატიმრებენ. ვიზედაც ცოტა რამ ეჭვს შეიტანენ, მაშინვე საპატიმროში უკრავენ ხოლმე თავს. გაზეთების სიტყვით, მთავრობის ასეთმა საქციელმა ხალხი ერთი ორად და სამად უფრო აადელვა. მთავრობას ისინიც-კი განუდგნენ, ვისაც წინად იმისი მხარი ეჭირა.

—

**საფრანგეთი.** როგორც უკანასკნელად მოსული გაზეთები იუწყებიან, მთავრობა დრეიფუსის საქმის გამოკვლევისა და პიკარის დაპატიმრებით არა კმაყოფილდება. პარიჟში ხმა დადის, რომ მთავრობას აზრადა აქვს დააპატიმროს აგრეთვე შერერ-კესტნერი, ტრარიე, ჟორესი, რეინაკი, დასჯილის დრეიფუსის ძმა მათე დრეიფუსი, ივ გიიო, ბერნარ-ლაზარი, ვექილები დებლუა და ლემანჟი და მრავალი სხვა. ამ ამბავმა დრეიფუსის მოწინააღმდეგე გაზეთები აღტაცებაში მოიყვანა. ეხლა კი მოელება ბოლო დრეიფუსის საქმეს და საფრანგეთში მშვიდობიანობა დამყარდებაო, გაიძახიან ეს გაზეთები. სამაგიეროდ სულ სხვა აზრისა არიან დრეიფუსის მომხრე გაზეთები. მათის სიტყვით საფრანგეთში ნამდვილი ამბოხება მოხდება, თუ მართლა მთავრობამ ზემოხსენებული, უცოდასაგან პატივცემულნი და მთელ საფრანგეთში ცნობილნი მოღვაწენი დააპატიმრა. ასეთის საქციელით, ამბობენ გაზეთები, მთავრობა მშვიდობიანობის ნაცვლად, უთანხმოებასა და შფოთს გაავრცელებს ხალხშიო.

---

## დამაკვირდი

სიტყვა იგივ თესლია, რომელიც უნდა ღრმად ჩაითესოს, რომ ფრინველთა და მწყერთ ვერ აჰკონ.

ფარსადან გორგიჯანიძე

* * *

შენ, საყვარელო, იკითხევდ და ისწავებდ და გულსიდგინე და იყავნ შენდა ზრახვა და ზრუნვა ყოველსა ჟამსა.

ნეტარი იპოლიტე

* * *

ვითარცა ქალაქისა განგებულებაჲ არს საკაჭრეთა უშურველობაჲ და ყანისა განგებულებაჲ არს რომელმან გამოიღოს ფრიადი ნაყოფი, ეგრეთვე სულისა განგებულებაჲ არს, რათა სავსე იყოს თჳთო ფერითა საქმითა კეთილითა.

წმ. ეფთვიმე

---

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ვენის ერთს მკურნალს გირშკორნს ამას წინად სრულიად შემთხვევით განუკურნებია ციებ... [illegible] ... ქალი. როგორც უთუოდ უწყიან მკითხველნი, ... ბმა, ასეთის სენით შეპყრობილნი ღამე დგებიან ლოგინიდგან, გამოდიან გარედ და სრულიად ფხიზელი კაცსავით ხკეთებენ საქმეს, ხანდისხან ისეთ ადგილებზედ ადიან, როგორც, მაგალითად, კედელზედ, ბერზედ, კლდეზედ და სხვაგან, სადაც ფხიზელს ადამიანს არ შეუძლიან ასვლა. ასეთი სენი დღე, მდის გაუკურნებელ სენად მიაჩნდათ, მაგრამ-როგორც ვსთქვით, გირშკონმა, სრულიად შემთხვევით, გამოიგონა ამის წამალი. გირშკორნი ერთს მთვარის სენით შეპყრობილთან მიიწვიეს, მაგრამ ამ სენისაგან განსაკურნებლად კი არა, არამედ ნერვების სიდამბლისაგან მოსარჩენად. მკურნალმა ელექტრონს მიჰმართა და ნერვების სიდამბლის ასაცილებლად ავადმყოფს კისრის ხერხემალში ელექტრონის ძალა მიაყენა. მეორე დღეს ავადმყოფის გაკვირვებულმა ნაცნობებმა აუწყეს მკურნალს, რომ წუხელ ქალს სრულიად მშვიდად ეძინა და მთვარეს სნეულება აღარ დაჰმართებიაო. მკურნალს ეგონა, რომ ეს შთაგონების ბრალიაო. ამიტომ შემდეგი ხერხი იხმარა იმის გამოსაკვლევად,—მართლა ელექტრონმა მოარჩინა ავადმყოფი, თუ არა. იმავე დღეს გირშკორნმა ელექტრონის მანქანა კისერზედ დაადო და ისე აჩვენა, ვითომ ელექტრონის ძალა მიაყენა. ღამეს ქალს ჩვეულებრივი მოგზაურობა დაუწყია. ასე მოსდიოდა ხოლმე ყოველთვის, როდესაც მკურნალი ელექტრონს არა ჰხმარობდა. შემდეგ რაკი დარწმუნდა, რომ ელექტრონი რგებდა, ყოველ დღე წამლობა დაუწყო და ბოლოს სრულიად განკურნა ქალი ამ სენისაგან. გირშკორნმა შემდეგ რამდენიმე სხვაც, ასეთისთავე სენით შეპყრობილი, გაჰკურნა თურმე.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 ივლისი

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. გოშენმა, იმის საბუთად, რომ ფლოტის გასაძლიერებლად ფული უნდა იქმნას გადადებული, განაცხადა, რომ რუსეთი აშენებს 6 ახალ საომარს გემს, თუმცა წინად განზრახული ჰქონდა მხოლოდ 2 გემის აშენებაო. ამიტომ გოშენმა მოითხოვა პალატამ ნება დართოს, რომ 4 ახალი საომარი გემი იქმნას აშენებული. შემდეგ რუსეთს განზრახული აქვს აგრეთვე 4 ახალის კრეისერის აგება. ამიტომ მთავრობამ მოითხოვა 4 ახალის კრეისერის და 12-ის კონტრ-მინონოსკის აგების ნება მიეცეს. ამ ახალის გემების აგებისათვის ხარჯი გამოანგარიშებულია 8 მილ. გირვანქა სტერლინგი, ასე რომ წინანდელ 7 მილიონთან ერთად ფლოტის გაძლიერებას დასჭირდება სულ 15 მილიონი.

**პარიჟი.** გაზეთებმა განაცხადეს, რომ პარიჟში მყოფი ესპანიისა და ამერიკის ელჩები უკვე შეუდგნენ ზავის შესახებ საიდუმლო მოლაპარაკებასაო. შეერთებულის შტატების საელჩომ უარ-ჰყო ეს ხმა და განაცხადა, რომ ელჩებს შორის არავითარი მოლაპარაკება არ არსებობსო. არც კი იციან, რა იყო ასეთის ხმის გავრცელების მიზეზი.

12 ივლისი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო (ფრანგულს ენაზედ) სადღესასწაულო სადილის დროს პეტერგოფის დიდს სასახლეში: „ვსვამ სადღეგრძელოს მათის უმაღლესობის ბოლგარიის მთავრისა, მთავრის მეუღლისა და აგრეთვე ჩემის ძვირფასის ნათლულის, ბატონიშვილის ბორისისას და ვისურვებ ბოლგარიას აღყვავებას“. საპასუხო სადღეგრძელო მთავრის ფერდინანდისა (ფრანგულს ენაზედ): „თქვენო უდიდებულესობავ! წრფელის გულით გმადლობთ ეს არის ეხლა თქვენის უდიდებულესობის მიერ წარმოთქმულის კეთილის სურვილისა და მოწყალე სიტყვებისათვის. იმ შემაერთებელს კავშირს, რომელთაც ასე დაუახლოვეს ბოლგარია ძლიერ მეგობრულ ერს, სახელდობრ—ეროვნებას, სარწმუნოებას, იმ საუკუნო გრძნობას მადლობისას, რომლითაც აღსავსეა ჩვენი გული ჩვენის სამშობლოს უავგუსტოეს და დაუვიწყარ განმათავისუფლებელის მიმართ, თქვენმა უდიდებულესობამ ისიც დაურთო, რომ კეთილ ინება და ნათლიაობა იკისრა ჩემის შვილისა და ტახტის მემკვიდრისა, ტირნოვის მთავრისა. ამიტომ მე მოვიწადინე აღვასრულო უწმიდესი ვალი, წარვუდგინო უავგუსტოეს ნათლიას ბატონიშვილი ბორისი, თავისი ნათლული. ვაცხადებ, თქვენო უდიდებულესობავ, როგორც ჩემის, აგრეთვე ჩემის მეუღლის და მთელის ბოლგარიის მხრივ გულითადს—ულრმესს მადლობას ასეთ მომხიბვლელად და გულის აღმძვრელად მიღებისათვის“. შემდეგ მთავარმა რუსულს ენაზედ განაგრძო: „იმ სიხარულის გრძნობითის რომლითაც ეხლა აღსავსეა ჩემი გული, ვიღებ ჭიქას და ვსვამ სადღეგრძელოს თქვენის იმპერატორებით უდიდებულესობისას, მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის დედოფალის ალექსანდრა თეოდორეს ასულისას, მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის დედოფალის მარიამ თეოდორეს ასულისას და სრულიად საიმპერატორო სახლისას, აგრეთვე ვისურვებ დიდის რუსეთის გაძლიერებას“. ხელმწიფის მიერ წარმოთქმულის სადღეგრძელოს შემდეგ შეასრულეს ბოლგარიის საერო საგალობელი, ხოლო ბოლგარიის მთავრის მიერ წარმოთქმულის სადღეგრძელოს შემდეგ—რუსეთის საერო საგალობელი.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. გოშენმა სთქვა: „არ შეგვიძლიან დავმალოთ, რომ ფლოტის გაძლიერების აზრი დაჰბადა რუსეთის მოქმედებათა გეგმამ, რათა ამ მხრივ შევუთანასწორდეთ რუსეთს. დაბეჯითებით უნდა აღვიაროთ, რომ ეს გეგმა მოქმედებათა სატევ-პოლიტიკაზედ დადგომას სრულიად არ მოასწავებს. დეე ევროპამ იცოდეს, ინგლისი ფლოტს ადიდებს და მთავრობას ეს საჭიროდ მიაჩნია იმ დედა აზრის დასაცველად, რომლითაც აღიარებულია, რომ ინგლისის ფლოტს შეუძლიან გაუმაგრდეს ორის რომელისამე დიდის სახელმწიფოს ერთად შეერთებულ ფლოტსაო. მე არა მგონია, რუსეთი მარტო იმითი ხელმძღვანელობდეს, რომ აზრად ინგლისისათვის მუქარის შემოთვლა ჰქონდეს, ან საზოგადოდ მისი მოქმედება ინგლისის წინააღმდეგ აყო მიმართული. რუსეთის მიწა-წყალი საზღვრავს სხვა სახელმწიფოთა მიწა-წყალს, ეს სახელმწიფოებიც ადიდებენ თავიანთ ფლოტს, მათ სრული ნება აქვთ დაიცვან თავიანთ ინტერესები და იქონიონ ისეთი ფლოტი, როგორც, მათის აზრით, საკმარისი იქმნება მისთვის.

**ვაშინგტონი.** გენერალი ანდერსონი მანილიდგან დეპეშით იუწყება, რომ ავგვინალდომ თავისი თავი დიქტატორად გამოაცხადა და სამხედრო დროის წეს-რიგი შემოიღო. მეამბოხეებს იმედი აქვთ, რომ ფილიპეს კუნძულების დამოუკიდებლობას ეღირსებიან.

**კონსტანტინეპოლი.** პორტას ოფიციალურად შეატყობინეს, რომ დიდმა სახელმწიფოებმა მოიწონეს ადმირალის განცხადება: კრიტში გადასვლის ნება არ მისცენ ოსმალეთის ჯარს.

ილდიზ-კიოსკიდგან მიღებულ განკარგულების თანახმად პორტამ უარჰყო სხვა სახელმწიფოთა ელჩების მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ დაჯილდოებულ იქმნენ ამ სახელმწიფოთა ის ქვეშევრდომნი, რომელნიც დაზარალდნენ სომეხთა არეულობის დროს, თუმცა მინისტრთა საბჭო წინააღმდეგ არ იყო ამ მოთხოვნილების შეწყნარებისა.

13 ივლისი

**ჰავანნა.** 18.000 კაცი ამერიკელი გადმოვიდნენ ზღვის ნაპირას, მანზანილიოს მახლობლად. ადგილობრივი ჯარი მზად არის თავის დასაცველად. ესკადრის ერთი ნაწილი წავიდა ხიბარისაკენ. ჰფიქრობენ, რომ ესკადრა იმავე დროს ყუმბარებს დაუშენს სინფუეგოსსა და მარიელს.

**პარიჟი.** „Siecle“ ბრალსა სდებს პოლკოვნიკს დიუ-პატი დეკლამს, რომ ვითომ ესტერგაზის მრჩეველი არისო.

---

## განცხადებანი

### ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარის წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ სამოცდაშვიდი ვაკანსია (67): პირველ განყოფილებაში 50 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორეში—თერთმეტი (11)—(8 და 9 წლის ყმაწვ.) და მეოთხეში—6 (10—11 წლ. ყმაწვ.); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

67 ვაკანსიიდგან 66 არის დანიშნული გარედგან მოსიარულებისათვის და ერთი არის საზოგადოების სრულს ხარჯზედ.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდგან, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, და დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, დამფუძნებლობის გარდა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს პანსიონში იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზედ დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სასწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასს.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნაკლებ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი, ათი შემოსვლისათანავე და ათი—იანვარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 25-დმდის, ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოჰგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской школой, на Лабораторной ул.

აგვისტოს 25, 26, 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31 მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქმნებიან აგრეთვე ის გარედგან მოსიარულეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 189⁸/₉ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობელმა უნდა წარმოადგინოს თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—უ.—4)

---


## ბაღლინჯოებისა და აბანოს ჭიის

მომსპობი **სითხე კელერისა**

ისყიდება ყველგან ყველა დიდ ვაჭართან. იმ ადგილებს, სადაც ეს მწერი ჰბუდობს, წაუსვამთ თუ არა სითხეს ჩხირით, ან შეუშხაპუნებთ, მაშინვე დაჰხოცავს და ისეთ ნაირად გაანადგურებს ბუდეს და კვერცხებს, რომ დიდს ხანს ველარ მოიკიდებს იქ ფეხს ეს მწერი.

სითხე არ არის შეღებილი და არავითარს ლაქას არა სტოვებს ავეჯეულობასა და შპალიერზედ. მწერს, მაგალითად, აბანოს ჭიას, მოჰხვდება თუ არა წვეთი ამ სითხისა, მაშინვე გადაბრუნდება და ჰკვდება.

ფასი მეტად იაფია და ხელმისაწვდენი ყოველ მომხმარებლისათვის.

(3—მ.—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 13 го Іюля. 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.